# ვეტერინართა რეგიონული ასოციაციების საინფორმაციო ცნობარი

## ცხოველის დაწყურვება



ცხოველის ჯანმრთელობაზე დიდ გავლენას ახდენს წყალი და მისი ხარისხი. თუ ცხოველი არასაკმარისად იღებს წყალს, კარგი კვების პირობებშიც კი დაბალია მისი პროდუქტიულობა. ცხოველის დაწყურება უნდა ხდებოდეს ნებაზე და თუ ამის საშუალება არ არის, წყლის მიცემა სასურველია ემთხვეოდეს კვების ჯერადობას. წყალთან წვდომას ცხოველი დღეღამის განმავლობაში მინიმუმ 3-4 ჯერ საჭიროებს. საძოვრული შენახვისას გარემო პირობები უნდა გავითვალისწინოთ. ცივ ამინდში ცხოველი ნაკლებ წყალს იღებს, ხოლო მოთხოვნა იზრდება თბილ და ცხელ დღეებში. წყლის სისუფთავე უმნიშვნელოვანესი საკითხია. ასევე, თუ ცხოველის დაწყურება ატმოსფერული ნალექების (წვიმის, ნადნობი თოვლის) შედეგად წარმოქმნილ წყალსაცავში ხდება, დღიურ რაციონში სალოკი ბლოკის დამატებაა საჭირო. წვიმის წყალში მარილების და სხვა მინერალური ნივთიერებების შემცველობა ნაკლებია.

## ქვემო ქართლში ვეტერინართა რეგიონული ასოციაცია შეიქმნება



კერძო ვეტერინარული სექტორის ხელშეწყობის მიზნით, ცხოველთა ჯანმრთელობის პროგრამა, ქვემო ქართლის რეგიონში იწყებს მუშაობას. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კერძო ვეტერინართა რეგიონული ასოციაციის შექმნა და კერძო პრაქტიკოსების კვალიფიკაციის ამაღლება. პროექტის გუნდის მიერ შეხვედრები გაიმართა სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების, სურსათის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივ წარმომადგენლებთან და კერძო ვეტერინარებთან რეგიონის შვიდივე მუნიციპალიტეტში. მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა საზოგადოებრივ კოლეჯ "'მოდუსთან". ასოციაციის გახსნა 2017 წლის მარტში იგეგმება. საქართველოში ცხოველთა ჯანმრთელობის პროგრამას ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი (GRDD/GIPA) ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) დაფინანსებითა და კოლორადოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (CSU) ტექნიკური მხარდაჭერით.

## ვეტერინარული პროფესიული განათლება კოლეჯ „აისში“.



ვეტერინარული განათლების გავრცელებას და სამუშაო ძალის გაძლიერებას ემსახურება კახეთის რეგიონში, ქვემო ალვანში, კოლეჯ "აისში" ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მესამე საფეხურის სასწავლო პროგრამა. პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება და უფასოა. თანამედროვე პრაქტიკაზე დაფუძნებულ სასწავლო კურსს კი კახეთის ვეტერინართა რეგიონული ასოციაციის წევრები, ასოციაციის ვეტერინარული პუნქტის ბაზაზე ახორციელებენ. ვეტერინარული პუნქტი საგანმანათლებლო პროგრამის გარდა, ადგილობრივ ფერმერებსა და მეცხვარეებს უწევს მომსახურებას..

## სადემონსტრაციო საქმიანობა და ფერმერთა ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრები იმერეთის რეგიონში



### კერძო ვეტერინარული ღონისძიებები

**იცით თუ არა, რომ ცხოველთა დაავადებები საფრთხეს უქმნიან თქვენი ოჯახის ჯანმრთელობას?**

არსებობს მრავალი დაავადება, რომელიც აზიანებს თქვენი ცხოველის ჯანმრთელობას და მის პროდუქტიულობას. ვეტერინარული მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში თქვენს მიერ წარმოებულ რძის და რძის პროდუქტების გაყიდვა იზღუდება. გარდა სახელმწიფო (უფასო) პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებისა, არის რიგი დაავადებები რომლებიც აზიანებენ ცხოველის ჯანმრთელობას, მის პროდუქტიულობას და საფრთხეს წარმოადგენენ ადამიანის ჯანმრთელობისთვის. მათი პროფილაქტიკა კი ფერმერის მოვალეობაა.

**დეჰელმინთიზაცია- სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიება პარაზიტების წინააღმდეგ.**

პარაზიტი არის ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც მეორე ცოცხალი ორგანიზმის (მასპინძლის) ხარჯზე სახლდება, ცხოვრობს და მრავლდება. პარაზიტები ბუდობენ როგორც ადამიანის და ცხოველის ორგანიზმში, ასევე მცენარეებზეც. ხშირია პარაზიტების გადასვლა ადამიანში ცხოველთან ახლო კონტაქტის დროს. გამოყოფენ ცხოველთა შინაგან და გარეგან პარაზიტებს. შინაგან პარაზიტებში შედის ჭიები (ჰელმინთები) და უმარტივესები (მაგალითად სისხლის პარაზიტები). გარეგანი პარაზიტები კი ხშირად ხილვადი ტკიპების, ტილების, მწერების და ბუზების სახით გვხვდება.

**ვაქცინაციის დასაწყისამდე ცხოველის დეჰელმინთიზაცია აუცილებელია.**

პასტერელოზი ცხოველთა ინფექციური დაავადებაა. ხასიათდება ცხელებით და სისხლჩაქცევებით ცხოველის კანქვეშ და შინაგან ორგანოებზე. მსხვილ რქოსან პირუტყვს უზიანდება ნაწლავები და სასუნთქი ორგანოები, ვითარდება შეშუპება კისრისა და ყბის მიდამოში. დაავადებულ ცხოველს აღენიშნება მოდუნება, გამონადენი ცხვირიდან , კონიუქტივიტი. თუ დაავადებულ ცხოველს მკურნალობა დროზე არ ჩაუტარდა იგი სწრაფად კვდება.

ემკარი (ჭრიჭინა) არის პირუტყვის მიკრობული დაავადება, რომელსაც ასევე ნიადაგოვან ინფექციასაც უწოდებენ. დაავადებას სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი ახასიათებს და მკურნალობას არ ექვემდებარება. ძირითადი სიმპტომები ვლინდება კოჭლობით, უმადობით, ორგანიზმის ტემპერატურის მომატებით, კიდურების ტკივილით და ინფექციური კერების წარმოქმნით.

შესაძლებელია მსხვილფეხა პირუტყვის პოლივალენტური ვაქცინის შეძენა. მსგავსი ვაქცინები ემკარის და პასტერელოზის გარდა სხვა არანაკლებ საშიში დაავდებების პრევენციასაც ახდენენ, კერძოდ ისეთებს როგორებიცაა მსხვილფეხა პირუტყვის ენტეროტოქსემია და სხვა.

უმარტივესებით გავრცელებულ დაავადებათა შორის გვხვდება ციება (პიროპლაზმოზი). ამ დროს ცხოველს აღენიშნება: ტემპერატურის მომატება, ცხელება, ლორწოვანი გარსების სიყვითლე (სიყვითლე განსაკუთრებით თვალის თეთრ გარსზე და პირის ღრუში შეიმჩნევა), მუქი შარდი, კანკალი. დაავადების საწყის სტადიაზე დაწყებული მკურნალობა გამოჯანმრთელებით მთავრდება, ხოლო დაგვიანების შემთხვევაში კი შეიძლება ლეტალური შედეგი დადგეს (ცხოველის დაცემა, სიკვდილი).

წითელი ქარი ღორის ინფექციური დაავადებაა, ძირითადად მწვავედ მიმდინარეობს და ცხოველის სიკვდილით მთავრდება. ბრადზოტი კი ახალშობილ, სუსტ ცხვარში მძიმედ მიმდინარეობს. გვხვდება ნიადაგში, მისი პრევენცია მხოლოდ აცრითაა შესაძლებელი.

| ვეტერინარული ღონისძიების დასახელება | ცხოველის სახეობა | ღონისძიებების ჩატარების დრო | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | წლის პირველი ნახევარი | | | | | | წლის მეორე ნახევარი | | | | | |
| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| დეჰელმინთიზაცია ორალური გზით | მ/პ; წ/პ; ღორი; ფრინველი; ძაღლი | | | | | ■ | | | | | | ■ | |
| დეჰელმინთიზაცია ინექციის გზით | მ/პ; წ/პ; ღორი | | | | | ■ | | | | | | ■ | |
| პასტერელოზის საწინააღმდეგო აცრა | მ/პ; ღორი | | | | | | ■ | | | | | | ■ |
| ემკარის საწინააღმდეგო აცრა | მ/პ | | | | | | ■ | | | | | | ■ |
| მკრეჯავი მუნის საწინააღმდეგო აცრა | მ/პ; წ/პ | | | | | | | ■ | ■ | | | | |
| პიროპლაზმოზის საწინააღმდეგო აცრა | მ/პ; წ/პ | | | | | | | ■ | ■ | | | | |
| აცრა წითელი ქარის წინააღმდეგ | ღორი | | | | | | ■ | ■ | | | | | |
| ბრადზოტის საწინააღმდეგო აცრა | წ/პ | | | | | | | | | | | ■ | |

მ/პ-მსხვილფეხა პირუტყვი  წ/პ-წვრილფეხა პირუტყვი

**სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურება ცხველთა ჯანმრთელობისა და უვნებელი პროდუქტის წარმოშობის ხელშეწყობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.**

მომზადებულია იმერეთის ვეტერინართა რეგიონული ასოციაციის მიერ

იმერეთის ვეტერინართა რეგიონული ასოციაცია ახორციელებს პროექტს "პირუტყვის მეპატრონეთა და მეცხოველე ფერმერების ცნობიერების ამაღლების კამპანიების და სადემონსტრაციო საქმიანობის განხორციელება იმერეთის რეგიონში". პროექტის ფარგლებში ასოციაციის ვეტერინარები უფასო საკონსულტაციო შეხვედრებს მართავენ სოფლებში, ახორციელებენ პირუტყვის მკურნალობას პარაზიტების წინააღმდეგ და არიგებენ საკვებ დანამატს სადემონსტრაციო ფერმებში. ასევე, შეხვედრებზე გავრცელდა საგანმანათლებლო მასალები ბროშურებისა და პოსტერების სახით. პროექტი დაფინანსებულია "ფორმალური, არაფორმალური და არაოფიციალური პროფესიული განათლების განვითარება" ფარგლებში, რომელსაც საქართველოში ახორციელებს ჩეხური საერთაშორისო ორგანიზაცია "ადამიანი გაჭირვებაში".

## წიწილის მოვლა გაზრდის პირობები

გთავაზობთ რჩევებს ჯანმრთელი წიწილის გამოსაზრდელად: მოვამზადოთ სადგომი და გამოვყოთ 1მ2 ფართი, 16 ფრთა ფრინველის გამოსაზრდელად. გამოვყოთ ერთი სტანდარტული საკვებური და საწყურებელი 50 ფრთაზე. დახურულ ოთახში, იატაკზე იყრება ნახერხი 10 სანტიმეტრზე. რაც შეეხება ტემპერატურულ რეჟიმს, პირველი ხუთი დღის განმავლობაში აუცილებელია 30-32 ºC სითბოს შენარჩუნება. ხოლო, ხუთი დღის შემდეგ, ყოველ მესამე დღეს 1 ºC ვაკლებთ ტემპერატურას, 65% ტენიანობის უზრუნველყოფით.

ფრინველის გამოსაკვებად გამოიყენება მარცვლეული კულტურები, ძირითადად სიმინდი, რომელსაც პრემიქსი ერევა. პრემიქსის შერევის პროცენტი განისაზღვრება ტომარაზე აღნიშნული შკალით.

პროფილაქტიკური ღონისძიებები. პირველი ხუთი დღე წიწილს ეძლევა ანტიბიოტიკი ალისერელი. გართულებული მდგომარეობის შემთხვევაში ანტიბიოტიკი ფლორვილი. ხუთი დღის შემდეგ ვიტამინი განასუპერვიტი ხუთი დღის განმავლობაში. მეცხრე დღეს წიწილი იცრება ჭირზე, პრეპარატი ლასოტით. ორი კვირის შემდეგ, კი ხდება ფრინველის პროფილაქტიკური დამუშავება კოქციდიოზის საწინაარმდეგო ბიოკოკსით, მეთვრამეტე დღეს ვიყენებთ ვიტამინ- განა ამინოვიტს რათა მოხდეს ბუმბულის სწრაფი ცვლა. მასალა მომზადებულია შიდა ქართლის ვეტერინართა რეგიონული ასოციაციის წევრის, ბატონ მამუკა ქოჩლაძის, მიერ.



# კითხვები ვეტერინარს

## გთხოვთ გვიამბოთ ნოდულარული დერმატიტის შესახებ



პირუტყვის ნოდურალური (კვანძოვანი) დერმატიტი ვირუსული დაავადებაა და მწერების კბენის შედეგად ვრცელდება. დაავადების ძირითადი გამოვლინება კანის საფარველის ქვეშ კვანძების წარმოქმნაა. დერმატიტი გავრცელებულია აფრიკის, აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. დაავადებული ცხოველიდან, სისხლისმწოველი მწერებით გადაეცემა ჯანმრთელს, იშვიათია პირდაპირი კონტაქტით ცხოველის დაავადება. ძირითადად ავადდებიან ახალგაზრდა ცხოველები. დაავადებას თან სდევს ცხელება, ცხოველის მოდუნება და უმადობა. შესაძლებელია ცალკეულ შემთხვევაში გვხვდებოდეს გამონადენი თვალისა და ცხვირის არიდან, წონაში უეცარი კლება და პროდუქტიულობის ვარდნა. მაგრამ, დაავადების ძირითადი ნიშნები კანის ქვეშ მრავლობით კვანძების წარმოქმნაა. კვანძები ვითარდება როგორც კანქვეშ ასევე შინაგან ორგანოებსა და სისტემებზე. შესაძლებელია მეორადი ინფექციის განვითარებაც, დაჩირქება, ანთებითი პროცესი და სხვა. დაავადება არ გადაეცემა ადამიანს. დაავადების ნიშნების შენიშვნისთანავე მიმართეთ ვეტერინარს.

მომზადებულია სამცხე-ჯავახეთის ვეტერინართა რეგიონული ასოციაციის წევრის ცირა ინასარიძის მიერ

## საქართველოში წარმოდგენილი ვეტერინართა რეგიონული ასოციაციები

### მომზადებულია ასოციაციების მართვის ცენტრის მიერ
მის: საქართველო, თბილისი, იეთიმ გურჯის 7ბ
ტელ.: (+995) 32 245 75 45

### აჭარა
მის: ქ. ბათუმი, ტ. აბუსერიძის 29ა.
თავმჯდომარე - ნანა ბალანჩივაძე
ტელ.: 599 57 08 75

### იმერეთი
მის: ქ. ქუთაისი, გოგებაშვილის ქ. 16/18/20
თავმჯდომარე - ზვიად ნატრიაშვილი, ტელ.: 599 71 20 17

### სამეგრელო-ზემო სვანეთი
მის: შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სენაკის ფილიალი.
თავმჯდომარე - ბესო გოგოლი
ტელ.: 599 501 807

### კახეთი
მის: კაჭრეთის საზოგადოებრივი კოლეჯი "აისი" გურჯაანი
თავმჯდომარე - აკაკი ელანიძე
ტელ.: 593 609 638

### სამცხე-ჯავახეთი
მის: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ახალციხე
თავმჯდომარე - შოთა ყულჯანიშვილი
ტელ.: 551 972 900

### შიდა ქართლი
მის: სოფელ ფხვენისის სოციო ეკონომიკური ზონა, გორი
თავმჯდომარე - არსენ ნოზაძე
ტელ.: 593 735694